

572
1961

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՓՈՒՍՏԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՓՈՒՍՏԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆ

«ԳՐԱԿԱՆ» ՕՐԱԿԱՆ ԺԱՊԵՅ
ԿԵՆՏՐՈՆՆԵՐ ԿԱՐԻ ՔԵՆՏՐՈՆ
ԵՎ ՔԵՆՏՐՈՆՆԵՐ ԿՐԴԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆՆԵՐ

№ 1 ԿԱՅԱՐԱՊՈՒՆԵՐ ՆԱԿԱ ԿՈՄԵՏԱՆԻՔԻ ԱՊՐԵՍՏԱԿԱՆ ԵՎ
Յ. Ս. ԿՈՐԵՆՆԵՐ ԿՈՄԵՏԱՆԻՔԻ ԵՄԵՐ ԱՊՐԵՍՏԱԿԱՆ
ԿՐԴԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿՐԴԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ
06633411
1961

572

7



Հ. ԿՈՐԵՆՆԵՐ ԵՎ. ԿԱՐԻ ՔԵՆՏՐՈՆ
ԿԵՆՏՐՈՆ
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
1961



სტუდია

კათანავა ჟილაშვილი

ხახბთ ბ. კლინიკილინა

ლიზიკომ საბავშვო ბაღში ზეიმზე თავისი უძეგროსი მძა ლევანიც წაიყვანა. თავზა-ტუი რა საუადრისი იყო? ლევანი პირველ რიგში გამოიჭმია ჰატარა ცისფერ სკამზე.


ლიზიკოს ტოლებიდან ზოგმა იცეკვა, ზოგმა ლექსი თქვა, ზოგმა იმღერა. ასეთი უონაღობისათვის ვინ წიგნი მიიღო სანუქ-რად, ვინ—ლამასი სათამაშო.

ლევანს თვალში მოუვიდა ნაირ-ნაირი სათამაშოები. ის იყო მოთხუდა ზეიმი, რომ სწრაფად გასტა წრეში და ლექსი სმამღლა შესძახა.

თქმა ვინ დაცაღა, შემოესვიფენ ბავშვე-ბი, მიუღღერსეს... ლევანმა გიტუჩი აიბზუა.

აღბათ ითაკიღა, ლექსი რომ შეაწევე-ტინესო, გაიფიქრა ლიზიკომ, ნაწეენ მძას ხელი ჩაჭკიდა, დერეფანში გაიყვანა და ჰალტო მოუძარჯვა ჩასაცემელად.

— არ წამოვალ, არა...—ხელი აუკრა ლევანმა ჰალტოსე.



მზაო, სნივთა უნა მე

გიორგი ლორთქიფანიძე

შენი ვარდის სურნელით
მე გული დავინამე,
მე ვარ შენი მსურველი,
მზეო, სნივთა ფუნა მე!

მიყვარს გახანგრძლივებით
ცაში ბურთის აშეება,
ახლა შენი სნივები
კაღამს ვთამაშება!

ხასეე არის ოცნებით
გული ჩემი მღვღვარი!
როგორც ხე ნაეღვარი,
მე სწავლით ვიმოსებო!

მზეო, სნივთა ფუნა მე,
მიყვარს დედა ენა მე!
მისი ვარდის სურნელით
მე გული დავინამე!

— ჩუ, ჩუ, ეველა შენ გიუუტებს, — ჩაუ-
ჩურჩულა ლიხიკომ.

— მიუურონ რა! მავათ რომ სხაუქრები
მიიღეს, მე არ მინდოდა?

— ამა, შენი იუოს! — მისცა ლიხიკომ
თავისი სხაუქარი ევავილეების ლოტო.

— არ მინდა, მე ჩემი მინდა! — ხელი
შეუშვა ბიჭუნამ კოლოფს.

— იენებ ეს ავტო მოგწონს? — მისწი-
მოსწია ტოლები ბესიკომ და სტუმბონს სა-
თამაშო შესთავაზა.

— ევეთი ავტო მეცა მავქს, უფრო დი-
დიც! — ჯიუტად იუარა ლევანმა და ბავშვები
სელმეორედ შემოიხვია გარშემო.

ლიხიკომ მამა დატუქსა, მალტო ჩანცვა
და წასასვლელად აჩქარა.

— ლევანს ნუ უწერები, სულ გადაკვა-
ვიწუდა მავისი სხაუქარი. რა ხანია გადა-
ნახული გავქონდა! ამა, ლევან, მოგწონს? —
თავსე ხელი გადაუსვა აღმწრდელმა.

ვერცხლისფერი თვითმფრინავის დანახვასე
ბიჭუნას თვლები გაუბრწყინდა და შექვე-
ტილი ლექსი რინით დასწრულა.



1158



ქალი წელი

ნიკოპ ალნიავილი

ნახტი მ. ანგოქაძისა

— დედიღო, შეხედე, რა ბუთხუ-
ბა ბიჭია დახატული და ახალი
წედი აწერიან. ძველი წედი კი მო-
ხუცია, დიდი თეთრი წვერი აქვს...
შარშანდელს აქეთ რამ დააბერა?—
ეკითხებოდა საბავშვო ბაღში
მიმავალი აღევო დედას.

— ძველი წედი დაიღალა, ბევრი
იმუშავა. აი, იმ ახალ შენობას
ხომ ხედავ?

— მანანას სკოლაა, — თქვა
აღევომ.

— ის შარშანდელმა ახალმა
წედმა ააშენა, მამას ქარხანაც,
ბევრი ფაბრიკაც, ხიდიც, ღამაში
საცხოვრებელი სახლებიც და ვინ
ჩამოსთვდის, კიდევ რამდენი რამ
ააშენა, გააკეთა და... დაიღალა.

— თუ ამდენი იმუშავა, დაი-
ღებოდა, აბა რა იქნებოდა, —
თქვა აღევომ.

— ჰოდა, სწორედ ამიტომ ხატავენ ძველ წედიწადს წვერებიან,
ხატავენ მოკიდეზუდ პაპად. ახალ წედიწადს კი — მკვირცხდ ბიჭუნად,
რომელიც უფრო ყოჩაღად ააშენებს, უფრო მეტს გააკეთებს და ბევრ
სიხარულს და ბედნიერებას მოგვიტანს! — უთხრა დედამ აღევოს.



ოთხი

პატარა

ასული

ი. შანიანი

ოთხი მშვენება ვნახე,
ოთხი ვუბვილი ვეცნე,
ოთხი სტრიქონის ეშვი
დიადი რუსთაველის.

ოთხი მამის ვნახე,
ოთხი შუქურა მნათი...
ო, დაილოცოს ოთხჯერ
კარგი ქალობა მათი!

ისარდონ ასე ტუბილად,
გულეები ჰქონდეთ სუფთა.
ასცდნენ ომსა და ხიუათს,
ისუნიქონ თავისუფლად!

დაქაღდნენ სიყვარულში —
ღირსნი დედური კოცნის;
ეს არის ნატურა
ერთი გულწრფელი მკონის!

ნახატები ლამარა დანელიანი






თოჯინების თეატრი

მცია წელია, რაც თბილისის ჰიონერთა სასახლეს თავისი თოჯინების თეატრი აქვს. მსახიობები თვითონ ჰიონერები არიან. სელმძღვანელი კი ბავშვების საუკარული აღმზრდელი მარო აბრამიშვილია. ამ სანში

თეატრმა ოცდასული ჰიესა დადგა. იმათი წარმოდგენები მარტო თბილისელმა მოსწავლეებმა როდი ნახეს. თეატრი სასაფულო არდადეგებზე სტუმრად იყო ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში—ხევსურეთში,





ქართლში, კახეთში, თუშეთში და ბევრმა
ზიონურმა და სხვადასხვა ბაღელმა ნახა მათი
წარმოდგენები. უცხოელ სტუმრებსაც ბევრ-
ჯერ უსიამოვნებიათ მისი ნახვით.

მომავალში კიდევ ბევრი ზატარა მანქანა-
ბელი განსარებს ამ თეატრის საინტერესო
დადგმებით.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თეატრის ზირ-
ველი წარმოდგენის დეკორაციას. წარმოდგე-
ნას „ჯადოსნური კალაში“ ჰქვია.

აი, ზირველი ნორჩი მსახიობები თავი-
ანთი თოჯინებით... ეს ვოჯინები ახლად
ზოგი ექიმი, ზოგი მასწავლებელი, ზოგიც
დიასახლისი. ისინი დიდი სიყვარულით
იგონებენ თავიანთ ბავშვობას.

შესედეთ, რა გატაცებით უცქერიან მხე-
რებლები თოჯინების თეატრის ახალ წარ-
მოდგენას.

აი, ასე გამხიარულდნენ ზატარა ხევესურები,
როდესაც ზირველად ნახეს თოჯინების თეატრი.

ნახატები მ. თორთაძისა

შეიღებინა დ. ძეგამიძემ

რეზუსი



კომუნალური მკვლევი




—**ც**ოტა აქეთ ჩამოვლტე, კარი უნდა გავალი,— უბრალო ვარსკვლავის ხელმძღვანელმა ოქტომბრულლებს და ურღული გადასწია.
 — რამდენი კურდღელია!— შესძახეს პატარებმა, როცა საკურდღლეში შევიდნენ.
 — სულ ნაკარები არიან?
 — არა, აგერ თვარი...
 — უი, შავები, შავებიც ყოფილან!— სიხარულით ხტოდნენ ბავშვები. ამდენი კურდღელი ერთად არასდროს ენახათ.
 ხელმძღვანელმა ოქტომბრულლებს სკოლის საკურდღლეში პირველად მოიყვანა. წინსაფრები ბავშვებს გულზე ააფარა. ვაგონებში თავსაფრით თმები თვითონ შეიკრეს. ბიჭებმა იატაკის საფეხუკები და ცოცხები მოძებნეს და მოიტანეს. ღღეს ისინი აქ მორჩევიები არიან, საკურდღლე უნდა დაასუფთაოთ.
 — ახლა საქმეს შევუდგეთ, — თქვა ხელმძღვანელმა და პირველმა დაიკაიწა მკლავები. ოქტომბრულლები მხარში ამოუდგნენ. მანამა და თამაშს თუნებით წყალი მოარ-

ბენინეს. ციციონმ და ვლიკომ უამრავი პირბალი, კომპოსტო და თვარი მხალი მიუტანეს კურდღლებს.
 „დაიწყო პიონერული ორწლელი“ — იკითხა მირიკამ საკურდღლის გვერდით გაქრულ ქაღალდზე.
 — უველა რგოლს, რაზნს, რაზმეულს თავისი საქმე აქვს ორწლედში, — თქვა ხელმძღვანელმა. — ჩვენ თოჯინების თვატარი და სსსპორტო მოედანი უნდა მოვაწყუთ, ფუტკრები გავამრავლოთ, ლითონის ჯართი შევაგროვოთ, ყვავილები და ხეები დაეგროვოთ, წიწვოლები და კურდღლები გამოვზარდოთ.
 კურდღლებს ხსენებამზე ბავშვებს თავიანთი შრომიცაა მოაქონდათ და დღეცაქურდნენ.
 — ოღონდ გვითხარით, რომელია ჩვენი მოსაწვლელი კურდღლები, — წამოიძახა ვლიკომ. ხელმძღვანელი ახლოს მივიდა პატარებთან და ჩუქმა უთხრა:
 — პიონერებმა ჩემი და შენი არ ვიცით.

დიდი ზეიმი. იმ დღეს დაიწყო პიონერული ორწლელი. ოქტომბრულლებმა ისიც გაიგეს, რომ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლის ზეიმამდე ორი წელია დარჩენილი. ამ ორი წლის განმავლობაში კი პიონერებმა ბევრი სასახლო საქმე უნდა გაეცეთოთ.
 — უველა რგოლს, რაზნს, რაზმეულს თავისი საქმე აქვს ორწლედში, — თქვა ხელმძღვანელმა. — ჩვენ თოჯინების თვატარი და სსსპორტო მოედანი უნდა მოვაწყუთ, ფუტკრები გავამრავლოთ, ლითონის ჯართი შევაგროვოთ, ყვავილები და ხეები დაეგროვოთ, წიწვოლები და კურდღლები გამოვზარდოთ.
 კურდღლებს ხსენებამზე ბავშვებს თავიანთი შრომიცაა მოაქონდათ და დღეცაქურდნენ.
 — ოღონდ გვითხარით, რომელია ჩვენი მოსაწვლელი კურდღლები, — წამოიძახა ვლიკომ. ხელმძღვანელი ახლოს მივიდა პატარებთან და ჩუქმა უთხრა:
 — პიონერებმა ჩემი და შენი არ ვიცით.

სკოლა საერთოა, კურდღლებიც საერთოა, ჩემიც არის და თქვენიც. ამიტომ მოვლეთაც ყველას უნდა მოველაროთ!
 ვლიკო გაერთოდა, ეს რა წამომცდლაო. საქმეს რომ მორჩნენ, ოქტომბრულლები შინისკენ ერთად გუდუნენ გზას სკოლის ქვემო ნაკვეთს ჩაუარეს. იქ ბილბად შეფუთულინ სკვები იღვა.
 — ეს საფუტკრეა — თქვა ხელმძღვანელმა.
 — ესეც საერთოა, არა? — იკითხა მანამამ.
 — საერთოა, აბა რა? — ხელმძღვანელის მაგივრად ოქტომბრულლებმა უპასუხეს მანამამ. ხელმძღვანელმა ოქტომბრულლებს ისიც უამბო, რომ ორი წელია შემდეგ საქართველოში პიონერების მიერ მოვლილი და მოწუნებული ფუტკრებისაგან დიდი საფუტკრე შეურნობა გაშენდება, რომელსაც „პიონერს“ დავაერმეეთო.
 — მაშინ ჩვენ უკვე პიონერები ვიქნებით! — სიხარულით შესძახეს ოქტომბრულლებმა.





კურდი ფისო

ქ. კაპაშვილი ნახატები ვ. გულიანაშვილისა

მთმინება დავკარგეთ, აღარ ვიცოდით, როგორ დავგვეკირა ეს წითურა კატა. ისე მოხერხებულად კი გვემალებოდა, თვალი ვერსად მოგვეკრა. რასაც წაუწეოდა, ყველაფერს იპარავდა: თევზს, ხორცს, არაყსს და პურს. ერთხელ საკუჭნაოში თევზაობისათვის მოგროვილი ჭიებით სავსე კოლოფიც გამოენახა. თვითონ არ მიირთვა, მაგრამ თავლია კოლოფს ქათმები დასეოდნენ და მთლად ამოესანსლათ. გამძღარი ქათმები მზეზე წამოწოლილები კუთავდნენ. ჩვენ თავს დავტრიალებდით და ბრაზით გულზე ვსკდებოდით. მაგრამ თევზის ჭერა მაინც ჩავგვეშალა და ჩავგვეშალა.

ეს ქურდობა კი არა, უკვე ძარცვა იყო დღისით-მზისით. დავიფიცეთ, დავიქურთ მაგ კატას და უტიფარი ყაჩაღობისათვის შავ დღეს დავაყენებთ-თქო.

აკი იმავე დღეს ჩავგივარდა ხელში! ზედ სუფრიდან ძეხვი აგვაცოცა და არყის ხეზე აძვოა. ჩვენ ხეს რყევა დავუწყეთ კატას ძეხვი ჩამოუვარდა და რუვიმს თავზე დავცა. ზემოთ კი კატა თვალბნის აბრიალებდა და მრისხანედ ღწოდა. მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა. მოსწყდა ხეს, მიწაზე დანარცხებული ფეხბურთის ბურთივით ახტა და ხახლის ქვეშ სდურთა თავი. ახლა კი ჩავგივარდა ხელში! იქიდან ხომ ველარსად

გაძვრებოდა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... კატის კნავილმა და ანახლობამ ისე შეგვაწუხა, რომ ავდექით და სოფლის მეურლის გულად ბიკს ლიონკას გამოვუძახეთ: კატა გამოგვიყვანეთ-თქო.

ლიონკამ იმ დღეს დაქერილი ნაფოტა თევზი აბრუშუმის მკედს გამოაბა და იატაკქვეშ შეუღლო.

კნავილი შეწყდა. შეიქნა ერთი ხრამუნი და ველური ღრქილი—კატა თავში ჩააფრინდა თევზს. ლიონკამ მოსწია მკედი, წუთიც და ღრქოში კატის თავი გამოჩნდა. ლიონკა კატას კიხერში სწვდა და მალლა ასწია. ახლა პირველად დავინახეთ ის რიგინად.

კატას თვალეები დავუტუბა და ყურები გადაეწურა, კული ყოველი შემთხვევისათვის უკან



ამოკეცა. მუცელზე თეთრი ლაქები ასხდა, ბეწვი ცეცხლივით წითელი ჰქონდა. ეს უპატრონო კატა მულამ ქურდობდა და მაინც გამხდარი იყო...

შპვიკი

რუვიმმა კატა შეათვალიერა და ჩაფიქრებით იკითხა:

- რა ვუყოთ ახლა ამას?
- მივტყუოთ!— ვთქვი მე.
- ეგ რას უშველის?— თქვა ლიონკამ, — პატარაობითვე ასეთი წესი ჰქონია და...

ჩვენს განაჩენს კატა თვალმოკუტული ელოდა.

მაშინ რუვიმმა წამოიძახა:
— მოდი, ერთი გემოზე გავაძლოთ!

მოგვეწონა ეს რჩევა. ჩავთრიეთ კატა ხარ-დაფში და საუკეთესო ვახშმით— შემწვარი ღორის ზორცით, ჩამუკუტებული ქორპილით, ხა-ქოთი და არაჟანით გავუმასპინძლოთ. კატა კარგა ხანს შეექცეოდა ამ ზორაგულს. მერე ბარბაცით გამოვიდა ხარდაფიდან, დაჯდა პარ-მალზე და პირის ლოკვა დაიწყო; დიდხანს იფ-რუტუნა და უხახუნა თავი მიწას, — კარგ ვუნე-ბაზე ვარო, თუ გვეუბნებოდა.

ეს დღე იყო და ეს. კატა შემოგვეჩვია და ქურდობაზეც ხელი აიღო.

მეორე დღით, სრულიად მოულოდნელად, კეთილშობილური საქციელიც გამოამჟღავნა:

ბაღში მაგიაზე ქათმები ასულიყვნენ და კა-კანით თევზებიდან უგრეხელის ფაფას კენკავ-დნენ. კატა სიბრაზის ცახცახმა აიტანა, ქათმებს დასჭყვივლა და მაგიაზე ახტა.

ქათმები კრიახით აფრთხილდნენ, რძით სავ-სე ქილები გადააბრუნ-გადმოაბრუნეს და ბალი-დან გაცვივდნენ. ყველაზე წინ სლოკინით გარ-ბოლა კანჭა მამალი, ყვივანას რომ ვეძახდით. სამ თათზე შემდგარი კატა გაშმაგებით მისდევ-და, მეოთხე წინა თათს კი მამალს ზურგში სცემ-და და ყვივანას სულ ბღღვირსა და ბურტყუს აყრევინებდა.

მას შემდეგ ქათმები შიშით ველარ ქურდობ-დნენ. დანახავდნენ თუ არა კატას, კრიახით იმალებოდნენ.

კატა კარგი პატრონივით და გუშავივით აქეთ-იქით დაბრძანდებოდა ეწოხა თუ სახლში. ფე-ხებზე თავს გვიხახუნებდა, მაღლობა მითხარი-თო, და შარვალზე წითურა ბეწვებს ბლუჯა-ბლუჯა გვიტოვებდა.

თარგმანი ვ. ძიძგურისა

ბარლი ბაჩიაშვილი

გამოიღებებს თამაზი, არის ზნეობა და დავა. ტანთ არ ჩაივარებს და გარეთ თუნდ ფეხშიშველი გავა — ახე რამ გაგაზარმაია? — ამას როგორა მედღე! — ხელებს დაუქვრს ბეზია, ძალად ჩაიგმევს დედა. მარტო თამაზის კი არა, ძალად აიგმევს ნუკრის და ეს ამბავი ორივეს, ორივეს ძლიერ უკვირს. — მეუფეში მერცხლის ბარტყები ხულ მთლად შემეღებნი სხედან, ძალად რომ არავინ აიგმვთ, განა მათ რა ჰყავთ დედა!

გვერდსავე

სულიკო ლიხაშვილი

უყვარს კონტა თოჯინა მაწაწინა ირინეს. უღმისოდ ლოგინში დამითაც ვერ იძინებს.

თითქოს მართლაც დედაა და შვილი ჰყავს თავნება, ხან თუ მიეფერება, ხანაც გაუჯავრდება.

გუშინ დღით თოჯინას შეუკერა კაბები, ისე კარგად მოარგო, გააკვირვა ბაღლები!



ბყის

შედეგები

რეპან ინანიშვილი

ნახატები ე. აბოქაძისა

— თინო, თინო!— იძახდა ბებერი რცხილის კენწეროზე შემომჯდარი საბა ჩხიკვი.

— რა გინდა, რა?— ამოსძახა ხმელი ფოთლების ქექვით ვართულმა თინომ.

— გაიხედე ერთი, გაიხედე!

— რა არის, სად უნდა გავიხედო, კაცო?

— გზაზე გაიხედე-მეთქი, გზაზე.

— ი, მოიგონებ ხოლმე რაღა თითო რამესა...

თინო ჩხიკვა უხალისოდ მოიქნია ფრთები, აფერინდა და თავისი მუეღლის გვერდით ჩამოჯდა.

— აბა, რა არის, რასა ხედავ ისეთსა?

საბამ გუხისკენ ანიშნა და სიცილი წასკდა:

— ხი-ხი-ხი-ხი...

გზაზე თოფმომარჯვებული ბიჭი მიდიოდა და შედიდურად იყურებოდა აქეთ-იქით.

— ეგ ვიღას ძაღლის დანარჩენია, ქა!— გაიკვირვა თინომ.

— ევრა სცნობ? იჩოა.

— ვისი იჩო?

— გაბიდაურებისა.

— უყურე მაგ ცინგლიანს, მაგასაც რომ თოფი აუღია! აი, მეხი კი დავაყარე მაგის წარუკა დედას, აპა! იმ კარგი მამის თოფი მაგას როგორ ჩაუგდო ხელში?!

— ე, იძახი რაღა! ერთი ჩვენი ბარტყები გვიჯერებენ ხოლმე და მეორეც ეგ დაუჯერებდა თავის დედას! არ იცი, რა ქვის ნატყებიც არის!

— დახე, როგორ მოდის! დახე მაგ ცინგლიანსა!— ისევ გაწიწმატდა თინო და საბას მიუბრუნდა, — რას იღრიტები, კაცო, სასაცილო რა არის! ამ აღმართის თავში კუნელზე შამუვები სვდნან, შვეტაკობინოთ— ემანდ რამე არ ავნოს მაგ უხეირომ.



— თვალი არავის გამოსთხაროს!— დაცინვით გაიღრიტა საბამ, მაგრამ თინო აფერინდა, ქმარს წამოუფარფატა, წყრომით დასჩხავლა — აღე, მეზობლები არიან, სირცხვილიაო, და საბაც, მეთი რა გზა ჰქონდა, გაჰყვა ფრთების ნელ-ნელა ქნევით, მთქნარებით, დამცინავი ღიმილით.

— მეზობლებო, არ გვსმით, მეზობლებო!— ჩასძახა თინო ჩხიკვა შაშვეხს.

— რა გნებავთ, ნათლიდედ, რა?— ამოგპასუხა კუნლის ტოტებიდან ქერივი შაშვი თებრო.



— ცოტა ფრთხილად იყავით, ქვემოდან მონადირე მოდის...

— ვინ მონადირე, ქა, ამ შუადღისით, ვინა?

— ვინა და გაბილაურების პატარა ბიჭი იჩო. კუნლის ბუჩქიდან სამი შაშვი ამოფრინდა და იმათაც გზისკენ დაიწყეს მზერა.

— აი, იჩო მაგასა და ნაცილის გამოვარდნა, აჰა! ეგ ისეთი მავნე რამ ყმაწვილია—ჯერ შურდულით არ გვაძლევდა მოსვენებას და თოფით ხომ მთლად ამოგვეშუყავს დედაბულიანად. შვილო მალხაზო, გადაფრინდი—აქვე მლაშე წყალთან ობოლი ბაჭია სძოვს და უთხარა, გაგრიდოს—სიფრთხილეს თავი არა სტკივა-თქო.

— მაგ ბიჭს ჩვენზე მეტად ეშინია თავისი თოფისა!—ჩაიღუღლუნა საბა ჩხიკვაძე.

— რას ბრძანებთ, ნათლიმამ, არ იცით, რეები არიან ახლანდელი ყმაწვილები?!—ზრდილობიანად შეუბრუნა სიტყვა თებრო შაშვმა და მერე შეიღს შეუტია,—რადასა ზიხარ, ბიჭო, წადი, შეატყობინე იმ საწყალ ბაჭიას, სანამ გვიან არ არის.

ბაჭიამ გაიგო თუ არა, მონადირე მოდისო, არაფერი უთქვამს, გაიწყო სიფრთხა და ყურები მხრებზე და გავარდა თავპირის მტკრევით სერი-სერი. ჩხიკვაძემა და შაშვებმა კი ცოტა ტყის სიღრმისაკენ გადაინაცვლეს და ახლა იქიდან აღენებდნენ თვალს დიდის ამბით მომავალ იჩოს.

მოდიოდა იჩო და როგორ მოდიოდა! თოფი მომარჯვებული ეჭირა და თითქოს იქაღნებოდა: აბა, მოვდივარ და ვაი ხესა და ქვასაო.

— აი, რა ვუთხრა მაგის დედას!—ბრაზობდა თებრო შაშვი,—ნეტავ რა ქილა-ქოცოვებს დაავსებს ჩვენი ქონ-ხორციტა! ერთი კკუის მასწავლებელი უნდა იყოს ვინმე, რომა...

— ვინლა დარჩა, შენ შემოგველოს ჩემი თავი, ამ ჩვენს ტყეში ეგეთი! თვეღორე დათვი იყო ხოლმე ჩვენი ქომაგი და ისიც შარშან გამოასალმა წუთისოფელს მზესშესაწყვეტმა ესტატემ.

— იმის ბიჭისთვის რომ გვეთხოვნა, აშლა-პუნესთვის?—ფრთხილად ჩაურთო სიტყვა მალხაზა შაშვმა, რომელიც უკვე დაბრუნებულიყო და მორიდებით შესტკეროდა უფროსებს.

— ის რის შემძლეა, შვილო, აუღია თავი და მთელი დღე და ღამე მუცლის ამოსავსებად დადის. შემძლეც რომ იყოს, იმის გზას ვინ მიაგნებს.

— დილას მე ვნახე. ამ სერს გადავალთ თუ არა, დაბლა პანტებს ბერტყავდა. ეგ ბიჭიც სწორედ იქით მიდის.

უფროსებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენ რას გვიჩვენებთ, ნათლიმამ?

— დაანებეთ თავი იმ ღოღორიალა აშლა-პუნესაც და მაგ ყმაწვილსაც. პატარა ბიჭია, გაუშვით, გაიხაროს. ჩვენ მოვერიდოთ და ეგ ივლის, ივლის, დაიღლება, ერთი ორ-ჯერ გააბრაზუნებს თოფს ჰაერში და წაეშინ,—თქვა საბა ჩხიკვაძე.

— რას ამბობ, კაცო, რას!—გაუწყრა თინო ჩხიკვი.—ეგ ისე დაბრუნდება შინ, რომ რამე არ მონინარიკლოს?! წავიდეთ და, თუ-კი აქ ახლოა, ვთხოვოთ იმ სახელოვანი მამის შვილს. მართლა ისე ხომ არ იქნება, რომ არაფერი შეეძლოს. ტანდობით მამაზე დიდია თითქმის.

აფრინდნენ ჩხიკვები და შაშვები და წავიდნენ.

მიფრინავდნენ ტყე-ტყე, აღმა-აღმა და თან მთელი ტყის გასაგონად იხახდნენ:

— მონადირე, მონადირე მოდის! მოგრიდეთ!



— თქვენ სადღა მიფრინავთო?—ეკითხებოდნენ ქვემოლან, ტყის სიღრმიდან ქედნები, კაკბები და კოდალები.

— თვედორე დათვის შვილთან. იქნებ ეგ ბიჭი დააშინოს, თორე მაგან თუ ხელი გაიჩეია, მერე აღარავის დაგვედგომება აქ.

— დაიცათ, ჩვენც მოვდივართო,—და მიჰყვებოდნენ კოდალები, ქედნები, კაკბები და მოლალურები, მიჰყვებოდნენ და მიჩხაოდნენ, მიწრიბინებდნენ, მიკურკურობდნენ. ყველა რალაცას იძახდა, ყველა რალაცას ჩიოდა, ყველა რალაც რჩევას იძლეოდა.

მხოლოდ საბა ჩხიკვი არ იღებდა ხმას და დამკინავი ღიმილით ხან ერთს გადახედავდა, ხან მეორეს და ხან მესამეს.

აშლაპუნე დათვი პანტიით ისე გამძლარიყო, რომ კუჭი სტკიოდა. ჩამჯდარიყო ერთ ფუტურო მუხასთან, წამოეშვირა ვეება მუცელი, წინა თათებში იხეილა, ფშვინავდა და თან რალაც ლექსს ბუტბუტებდა:

„აუსვი და დაუსვი,
ჩავარდება გულსაო“.

შემოეხვივნენ ფრინველები და დაუწყეს ხვეწნა-მულარა. დათვა ყურებში თითები დაიცო და თვლები დახუჭა,—ერთმა თქვას, რა გინდათ. ყველა რომ ერთად ყაყანებთ, რა ვაგიგოო.

მაშინ თინო ჩხიკვი წაღა წინ და გულზე ფრთა შემოიფათქუნა:

— გვიშველე იმ შენი კარგი მამის სახელის ღღეგრამელობამ. გვიქენი სიყეთე და აი, თოფიანი ბიჭი რომ მოდის გზაზე, ის შეგვიშინე. შეგვიშინე, თორემ ვაგვეუწყავს, მთლად ამოგველტყავს.

— დამშვიდლით, დაწყნარლით!—ჩაიღულუნა დათვა და წამოდგა,—აბა, მაჩვენეთ, სად არის ის ბიჭი.

— აგერ გზიდან ვადმოუხვია და ახლა ბილიქს მოჰყვება.

დათვი მუხაზე აბობღდა, წინა თათით მოიჩრდილა და ბილიქს გახედა.

— ჰოო... ეგ არის?!. თქვენ ცოტა იქით გაღალით, მე ვასწავლო მაგას ტკუსას...

დათვი მუხიდან ჩამოვიდა და აღმართს შეუყვია. მიდის აღმართ-აღმართ, მიიბლოტება. ზოგ ფრინველს ჰგონია—ეგ არის მოგვატყუა და მიიპარებაო... მაგრამ დათვი შედგა, კლდის თავზე ჩამოჯდა, თვლები მოიჩრდილა.

დაბოა, ბილიქზე კი ისევ ისე მდიდლურად მოდის იჩო ბიჭი, ყოველ ბუჩქს ათვლიერებს, ხან რას მოუღერებს თოფს და ხან რას. საღაცა დათვსაც გაუბირდაპირდება.

გაუბირდაპირდებაო და დათვი მოიკუნტა, ერთი დაიბღავლა შემზარავად, დაგორდა, თითქო კლდე მოიშლევლოა—წამოვიდა გრიალით, ლაწალაწალა, ზედ იჩოს ფეხებ-

მიპბუხუნებდა დათვი და, ვითომ მისდევდა, ფეხებს ერთ ადგილზე ატყაპუნებდა.


— ხა-ხა-ხა!—ხარხარდა ტყე,—ხა-ხა-ხა!

მერე, თავქუდმოგლეჯილი იჩო რომ სერს გადაეფარა, დათვსაც გაეღიმა. იჩოს თოფი აიღო, დაათვალიერა, ფუო!—შემოჰკრა ხეს და ორად გადაამტვრია. კონდახი ერთ მხარეს გადააგდო, ლულა მეორე მხარეს, ფრინველებს თათი დაუქნია—კარგად იყავითო, და წავიდა თავისი გზით. როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეშვენის, ქებას თავი აარიდა.

გახარებული ფრინველები კი მანც დიდხანს მისდევდნენ და აქებდნენ, მაღლობას ეუბნებოდნენ. დათვი ხანდახან თუ შეჩერდებოდა, ახედავდა ფრინველებს, გამოაჩენდა თავის თეთრ კბილებს, გაეღიმებოდა კეთილად და მერე თავის ქნევით, თათების ლარტყალურტყით მიდიოდა, მიდიოდა...

შხოლოდ საბა ჩხიკვი იჯდა თავის ადგილზე მარტოდმარტო და ცხვირში ღუღღუნებდა:

— მაგათაც უკვირთ რაღა! დიდი ვაჟკაცობაა თითისოდენა ბალოის შეშინება! აბა, მაგისი მამა რომ მოკლა ესტატემ, ის შეაშინოს! აბა ლევანა მონადირე შეაშინოს. დიდი ამბავია, თითისოდენა ბაღლი თუ შეაშინა!.. თინო, თინო! დაბრუნდები თუ არა, თინო!..



თან გაიშალა ვეება ბოლჩასავით, წამოტოტდა და...

— ბაა!..—ერთხელ კიდევ დაიღრიალა საშინლად.

იჩოს თოფი გაეშვა, ვაიძე ღედაო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვდა.


— დამიდექ, დამიდექ, თუ ბიჭი ხარ!—

**ღაიჭირათ,
პრ
გაუზვათ!**



ყველა მე შემომისხდება,
როცა ზამთარი იწყება,
მოირბენს ხოლმე ფისოც და
ჩემს სიახლოვეს მიწვება.

შ. ამირანაშვილი



ღაიჭირათ კაპაჩიძე

გიგლამ ბაღში მოკრიფა
ოცი მსხალი, ცხრა ვაშლი
და სახლისკენ მოჰკურცხლა
ასკინკილას თამაშით.
გაუვარდა კალათა
უცბად, განა ძალადა!
ხუთმა ვაშლმა, რვა მსხალმა
ღაფში მოიკალათა.
გიგლა კალათს უცქერდა
ამოთხუპნილს ტალახში,
რამდენი მიიტანა
სახლში მსხალი და ვაშლი?

ნახატები ი. პრლიპოვიძისა



**მთაბის
შვილობილი**

მეგლიჯა ზუიალაჩი

დაიბადება, თვალს ახელს,
მუხლიც ერჩის და ღონეცა;
ერთხელ შეხედავს დედილოს—
მთა-კლდეებს, ტყეს და გორებსა.
დედა ეძახის: „აქ იყავ!“
ის აღარ გაუგონებსა,
აღარ იღლებსა სირბილით,
დაღმართზე ჩარბის ჰენებთ,
გზას უღოცავენ ყვავილნი
ლომაზნი, ფოთლებურელები.
ზღვის სივრცეს დაეხარბება,
ჩაკოცნის, ჩაეკარგება,
ვინც გამოიცნოს, ისაროს,
დედას ნუ დაეკარგება.

თამარიკოს ზღაპარი

სალამოს, როცა ბავშვების ძიღის დრო დადგა, თამარიკომ თავის უმცროს დას ტანთ გახანდა და ლღვიწვი ჩააწვინა.

გაჭირვებულა ნინიკო, — ისე არ დავიძინებ, თუ ზღაპარს არ მიაბმობო.

თამარიკომაც პატარა ზღაპარი უამბო:

• დიდი ხნის წინათ, ტყით დაბურულ მთის ძირას ისღით დაფარული პატარა ქოხი იდგა. იმ ქოხში ერთი გამრჩულ ქალი ცხოვრობდა თავისი შვილებით. ვაჟს გურამი ერქვა, გოგონას ქეთევანი.

გურამი და ქეთევანი ძლიერ უყვარდა დედას. შვილებიც ხომ ერთიმეორეზე უკეთესები იზრდებოდნენ. ხარობდა დედა, მაღე მხარში ამომიგებოიან და გაჭირვებასაც თვადი დაუდგებოა.

ერთხელ მუტად ბნელი ღამე დადგა, ისეთი ბნელი, რომ თვდათან თითს ვერ მიიტანდი. ძლიერმა ქარმა წამოუქრლა და პატარა ქოხი ნაფლტებად აქცია. დედა და შვილები ვეებერთელა მუხის ხეს მოეფარნენ, ქარმა არ წავგვლოა.

უბედურებას უბედურება დავმატა: საიდანღაც პატარა თეთრი ფინია გაჩნდა და დედა გადასანსდა. თეთრმა კნულტმა გურამს გააკრა კლანჭები. რუხმა თავუნიამ, მუხის უფსევებში რომ ჰქონდა სორა, თავი გამოჰყო, ქეთევანი სორასაკენ წაათრია და იქ ჩაახრამუნა...

ნინიკოს ცრემლით აუვსო თვალები და ის იყო ტირილი უნდა დაეწყო, რომ თამარიკომ გურამსა და ქეთევანს გადაიკისკია:

— რაო, შეგებრალა? ეს ხომ ზღაპარი იყო მხოლოდ. გამრჩულ დედა ის ტუბილი ნამცხვარი იყო, ჩვენმა დედაკომ რომ მოგვართვა დიღით საუბმებუ და მე ვიახელი: გურამი ის უუნთლუა იყო, შენ რომ მიირთვი. ქეთევანი კი შაქრის დიდი ნატუხისაგან გამოთალა ძია გიგომ და, როგორც უფროსს, თემურს ერგო. გარგი?

ნინიკოს სახე გაუბრწყინდა, თამარიკოს მიესულა, ეს რა კარგი ზღაპარი მიაბმეო. მევე ორივემ თვალები დახუტა და ტუბილ ძიღს მიეცა.

გერმანულიდან გადმოაკეთა თ. სახაროვმა
ნახატო ნანაღი ვესნიძისა

1158





რავომ დაჩხა ირემი უკუდომ?

ხვალე-ხვალეობით ირემი უკუდომ დარჩათ. (ანდაზა)

სულხან ქექლაური

ზღაპარი

დალიან დიდი ხნის წინათ ყველა ნადირი უკუდო იყო. თვით ნადირთა მეფე ლომსაც კი არ ჰქონდა კუდი. ბუზანკლები და კოლოები მოსვენებას არ აძლევდნენ ცხოველებს.

და აი ერთ დღეს ხმა გავრდა: მთის ვადალმა კუდებს არიგებენო. ეს ამბავი პირველად მელამ გავიგო და ყველაზე უწინ წავიდა კუდის მოსაგანად.

ირემი დაბურულ ჩრდილში იწვა. დედა ხის ტოტით ულაღავდა ბუზებს. მელა რომ გაჩქარებით მიმავალი ნახა, ირემმა დაუძახა:

— საით მიცუნცულე, მელუკავ?

— აი, ამ მთის იქით კუდებს არიგებენ თურმე,—უპასუხა მელამ,—ადე და გამომყევი! ხომ იცი, ადრე მისვლა ჯობია, შეიძლება მერე აღარც კი შეგხვდეს.

— რა მეჩქარება, ხვალაც მოვასწრებ,—ჩაიბუტბუტა ირემმა და არხინად გადაბრუნდა მგორე ვეგრდზე.

მეორე დღეს გამოეღვიძა ირემს და რას ხედავს: მხეცები გახარებული ბრუნდებიან უკან. შესაფერი კული ამოურჩევიათ, ზოგს ნამგალივით მოხრილი, ზოგს შუბივით სწორი. ყველაზე დამაშო კული მელას რგებოდა, რადგან ის სხვებზე ადრე მისულიყო.

— ადე, შვილო, ახლა მინც წადი, კული

მოიტანე და ბუზები თვითონ მოიგერიე,—უთხრა დედამ.

მაგრამ ირემს ისევ სიზარმაცემ დასძლია და ძილი ამჯობინა.

ამასობაში დრო გავიდა. დედას მობერდა ირმისთვის ბუზების ლაღვა და ცალკე საჩრდილობელში დასახლდა. ირემმა ცოტა ხანს კიდევ იგორავა ჩრდილში, მერე მოშივდა და საკმლის საშოვნელად გამოვიდა. მხეცები კუდებით ხულმუსს ავლებდნენ მებენარა მწერებს, შეშინებული კოლოები ხის ფოთლებში იმალებოდნენ. მაგრამ უკუდო ირემი რომ დაინახეს, ბზუილით გამოიშალნენ და მიესივნენ. ირემმა თავის ქნევა დაიწყო, რქებით რომ გაეფანტა კოლობუზები, მაგრამ ვერაფერს ვახდა. შეწუხდა ძალიან და ისევ დედას მიაღდა: საგზელ მომიზადეო.



გაუხარდა დედას. იმავ წუთს მოუშადა საგ-
ზალი. ირემი გაუდგა გზას. იქ მაშინვე კუდების
ძებნას შეუდგა. გადმოიხსრია ყველა კუნჭული
და ყოველი ბურქის ძირი, მაგრამ ტყუილ-
უბრალოდ, ერთი პატარა კუდიც ვედარსად ნახა.
რალას იზამდა, დაღონებული დაბრუნდა უკან.

ღარჩა იმ დღიდან ირემი უკუდოდა. ახლა იმ
მხეცებს, რომლებსაც კუდები აქვთ, არც ყინვი-
სა ეშინიათ, არც ბუზებისა, ირემს კი ერთიც
აშინებს და მეორეც. ამიტომ ზაფხულობით მთა-
ში გარბის და ტყეებში ემალება კოლო-ბუზებს,
ზამთარში კი ყინვისა ეშინია და ისევ ბარად ჩა-
მოღის.

ახე ივის სიზარმაცემ. კაცმა დღეის საქმე
სახვლიოდ არ უნდა გადადოს, თორემ ირემი-
ვით ინანებს ბოლოს.




მკვებარე

ღაერთ ნაგვლივთი

იყო ერთი მამლაიქის
მკვებარე და მღალი,
წხუბი გამოიქვა
მეზობელი მამლაი.

მკვებარე ნახეთ, მესობელი
უფრო მარდი ზღმანდა,
და ტრბახს მამლაიქის
ღანთოც არ წამოიწა.

ღაცელა კუდი, ურთუბი,
ღასჯა მკვებარე,
სირცვილისკან კვღარ
ბუჭქებს ამოყვანბ.



ნახატები კვებარე



ნახატები შ. აბრამოვი
ლევაჟი კ. მოგვიანდით

ზამთარი,
თოვლი მოდის,
დილის სუსნი
ფანტელს
ფანტავს,
ტიტლიცნა
ბიჭუნები
ქდილზე
ვის დაუხატავს?
უცებ ვანომ
მოისაზრა—
მზე დახატა
სხივთა მჭრქვედა
მეცხალმენ
პატარები
კვირულ ვანოს
ხელის ქნევით.



ყდის მხატვრობა ეკუთვნის შალვა მხაბაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიავილი, მ. აბულაძე, მ. რევიშვილი (რედაქციის მხატვარი), ი. სიხარულიძე, ნ. უნაუქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ზამთარის ოცდამეათე მუშაობის ფასი 20 კაპ.

ტელ. რედაქტორი ი. არღვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქციის მხატვრობის ხელისუფლების პრესა, 81, ტელ. 3-37-38, გამომც. შტაბი, № 887, სტამბა შტაბი, № 385
ტრავა 35000 ხელმოწერილი დასაბამად 28/XI 1960 წ. ექნა დაბეჭდილია დიპლომატურ ბეჭდვის უპირატესად
Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 1 января, 1961 г. Тбилиси, просп. Пашаева 91.